საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1573 2020 წლის 19 აგვისტო ქ. თბილისი

2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. „2020–2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით დამტკიცებული 2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად და „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონების მიხედვით 2020 წელს განსაკარგი ჯამური თანხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 ივნისის №1007 განკარგულების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით

მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა“ (პროგრამული კოდი: 56 12) პროგრამის ასიგნებებიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 4 782 259 (ოთხი მილიონ შვიდას ოთხმოცდაორი ათას ორას ორმოცდაცხრამეტი) ლარისა, მათ შორის:

ა) საჩხერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 327 562 (სამას ოცდაშვიდი ათას ხუთას სამოცდაორი) ლარისა, ქალაქ საჩხერეში ახალი რეკრეაციულ-დასასვენებელი სივრცის მოსაწყობად (პროექტის მთლიანი ღირებულება 344 802 (სამას ორმოცდაოთხი ათას რვაას ორი) ლარი);

ბ) ვანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 262 155 (ორას სამოცდაორი ათას ას ორმოცდათხუთმეტი) ლარისა, სოფელ ისრითში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისთვის (პროექტის მთლიანი ღირებულება 262 155 (ორას სამოცდაორი ათას ას ორმოცდათხუთმეტი ლარი);

გ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 172 784 (ას სამოცდათორმეტი ათას შვიდას ოთხმოცდაოთხი) ლარისა, სოფელ საწირეში ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზის მოსაწყობად (პროექტის მთლიანი ღირებულება 172 784 (ას სამოცდათორმეტი ათას შვიდას ოთხმოცდაოთხი) ლარი);

დ) სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 426 943 (ოთხას ოცდაექვსი ათას ცხრაას ორმოცდასამი) ლარისა, ქალაქ სამტრედიაში გასართობ-დასასვენებელი სივრცის მოსაწყობად (პროექტის მთლიანი ღირებულება 536 601 (ხუთას ოცდათექვსმეტი ათას ექვსას ერთი) ლარი);

ე) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 970 000 (ცხრაას სამოცდაათი ათასი) ლარისა, სოფელ ვარციხეში ბიზნესის განვითრებისა და ტურიზმის ხელშემწყობი ცენტრის შენობის რეკონსტრუქციისათვის (პროექტის მთლიანი ღირებულება 993 994 (ცხრაას ოთხმოცდაცამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარი);

ვ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 318 792 (სამას თვრამეტი ათას შვიდას ოთხმოცდათორმეტი) ლარისა, სოფელ ქვედა საირმეში

ბუნებრივ სვეტებიან ძეგლთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაციისათვის (პროექტის მთლიანი ღირებულება 328 652 (სამას ოცდარვა ათას ექვსას ორმოცდათორმეტი) ლარი);

ზ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 897 594 (რვაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარისა, სოფელ მანავში მანავის ციხესთან მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობისათვის (პროექტის მთლიანი ღირებულება 1 402 490 (ერთი მილიონ ოთხას ორი ათას ოთხას ოთხმოცდაათი) ლარი);

თ) თელავის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 301 653 (სამას ერთი ათას ექვსას ორმოცდაცამეტი) ლარისა, ქალაქ თელავში ახალი ბიზნესკლასტერის ტერიტორიაზე არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის (პროექტის მთლიანი ღირებულება 317 530 (სამას ჩვიდმეტი ათას ხუთას ოცდაათი) ლარი);

ი) ახმეტის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 572 919 (ხუთას სამოცდათორმეტი ათას ცხრაას ცხრამეტი) ლარისა, სოფელ ბაბანეურში მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის (პროექტის მთლიანი ღირებულება 572 919 (ხუთას სამოცდათორმეტი ათას ცხრაას ცხრამეტი) ლარი);

კ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 252 700 (ორას ორმოცდათორმეტი ათას შვიდასი) ლარისა, სოფელ ბახვში საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის (პროექტის მთლიანი ღირებულება 261 644 (ორას სამოცდაერთი ათას ექვსას ორმოცდაოთხი) ლარი);

ლ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 279 157 (ორას სამოცდაცხრამეტი ათას ას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარისა, დაბა ჩოხატაურში ახალი რეკრეაციულ-დასასვენებელი სივრცის მოსაწყობად (პროექტის მთლიანი ღირებულება 279 157 (ორას სამოცდაცხრამეტი ათას ას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარი).

2. საგარეჯოს, საჩხერის, ბაღდათის, სამტრედიის, ოზურგეთის, თელავისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებმა 2020 წლის

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან უზრუნველყონ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის მთლიანი ღირებულების დასაფარად შესაბამისი სახსრების კანონმდებლობით დადგენილი წესით თანადაფინანსება.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ განკარგულების საფუძველზე თანხების გადარიცხვა განახორციელოს მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**